დანართი 1

სსიპ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის ანგარიში საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ამავე კოდექსის „ინფორმაციის თავისუფლების“ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს 2024 წლის ანგარიშს.

2024 წლის პირველი იანვრიდან დღეის მდგომარეობით სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 13 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე, მათ შორის დაკმაყოფილებულია 13 განცხადება. ამავე პერიოდის განმავლობაში სააგენტოში არ შემოსულა განაცხადი საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის თაობაზე.

საჯარო ინფორმაცია გაცემულია სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის, ამავე სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის - სოფიკო სიჭინავას მიერ.

2024 წლის პირველი იანვრიდან დღეის მდგომარეობით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო სააგენტოს არც ერთ თანამშრომელს არ დაკისრებია დისციპლინარული სახდელი.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას სსიპ - მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით.